

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 6

ქ.თბილისი

2020 წლის 19 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 19 ოქტომბერს, სრკ-ს ბრძანება # 323/ზ 12/10/2020-ის მიხედვით სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათნარიანად, ამის გამო არცერთ მონაწილე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა თავართქილაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ზ. შავგულიძის ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის რ. გაბელაშვილის წითელი ბარათის ოქმები, ამა წლის 15 ოქტომბერს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, ქობულეთის „პონტო“-სა და ბათუმის „ბათუმი 2“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ქობულეთის „პონტო“-ს მორაგბე ნოდარ ხახუტაიშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.
2. ბათუმის „ბათუმი 2“-ს მორაგბე თაზო დუმბაძე - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, 2.2.8, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ის 2.8 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქობულეთის „პონტო“-ს მორაგბე ნ. ხახუტაიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
2. ბათუმის „ბათუმი 2“-ის მორაგბე თ. დუმბაძე დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
3. საჯარიმო თანხის 7(შვიდი) კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში, ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ის 2.8 პუნქტი და ბათუმის „ბათუმი 2“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 1(ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/